საქართველოს კანონი

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №3, 13.02.2004, მუხ. 7) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „შ[1]“ ქვეპუნქტი:

„შ[1]) თანხმობას აცხადებს ან უარს ამბობს მისთვის საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ წარდგენილ, საპროკურორო საბჭოს მიერ დამტკიცებულ საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატურაზე; თანხმობის განცხადების შემთხვევაში საქართველოს მთავარი პროკურორის კანდიდატურას ასარჩევად წარუდგენს საქართველოს პარლამენტს;“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **გიორგი მარგველაშვილი**

ქუთაისი,

18 სექტემბერი 2015 წ.

N4301-Iს